№ 32 **სახალხო გაზეთი** № 32

სამშაბათი, 15 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე
შაბათს, 19 ივნისს, 1910 წელს,
**ა. იმედაშვილისა და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით**
წრის სცენის-მოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ებრაელები

დრამა 4 მოქმ. ჩირიკოვისა.

მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი ბ. ნებიერიძე, ა. საგინაშვილისა; ბ-ნნი: მ. ანაშვილი, ლ. ბაქრაძე, გამყრელიძე, გოცირიძე, ა. იმედაშვილი, მ. ინაშვილი, მეტრეველი, ს. პეპანოვი, ფრონისპირელი, კ. ხახანაშვილი, ჭანკვეტაძე და სხვ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ-დღე: დილის 12—2 და საღამოს 6—8 ს.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

**ანონსი:** შემდეგი ქართ. წარმოდგენა გაიმართება კვირას 20 თიბათვეს მზადდება წარმოსადგენად: „ექიმი აშირბაჯიანი", ტრ. რამიშვილისა და „მაღაროს მუშა". გერბიდონისა.

რეჟის. **ა. იმედაშვილი.** ადმინისტ. **ა. ჭიაბერაშვილი.** მორიგი წევრი **დ. ბაქრაძე.**

---

**ქართველ თავ. აზნაურობის ახალი თეატრი და ბაღი**

**ხუთშაბათს, 17 ივნისს, 1910 წ.**

პეტერბურგის ქართ. სამეცნიერო წრის სასარგ. ბლოდ გაიმართება არაჩვეულებრივი წარმოდგენა-სეირნობა **კ. ფოცხვერაშვილის** და **ალ. წუწუნავას** მონაწილეობით:

I

## პირ მზე

**მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა**, სიტყვები შოთა დადიანისა.

II

**ზეინაბის და ოთარბეგის გასამართლება**

(შარჟი PAR-DON-ისა)

ესპანიელი მოცეკვავი M-LLE NERO და სხვა მრავალი გასართობი ნომრები. სხვათა შორის ბოშათა გუნდი „ნატა შილის" მეთაურობით.

III

## უზარ მაზარი ცირკი

კლოუნები, მოჭიდავენი ატლეტიკის პროფესორის პოდმუხინის მეთაურობით, ჯამბაზები და სხ. იმიტაციები სხვა და სხვა გამოჩენილ მომღერლების, არტისტების და პოეტებისა.

**ბ ა ღ შ ი ს ე ი რ ნ ო ბ ა.**

რგოლთა სროლა, პტიშვე, კონფეტი და სხ. სეირნობა დაიწყება საღამოს 6 საათზე, წარმოდგენა 8½ ს. ფასი: ბაღში შესვლა დიდებისათვის 30 კ. მოწაფეთათვის 15 კ. თეატრში ფასები 2 მ. 60 კ.—40 კ.-მდე.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** დიასახლისი **კნ. ელ. ვახ. ვაჩნაძე.**

თეატრში შესვლა მოწაფეთ არ შეუძლიანთ პოლიციის განკარგულებით. დაწვრილებით აფიშებში.

---

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ოთხშაბათს, 16 ივნისს, 1910 წ.**

ქართულ დრამატიულ არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება

დრ. 5 მ. და 6 I. **და-ძმა** სურათ. ჯ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი შ. საღარეჯი, კ. ჭელიძე, დ. მგალობლიშვილი, ა. მატარაძე, ი. გრიშაშვილი, კულაშვილი, ანაშვილი, მაისურაძე, კაპანაძე, ალექსიძე და სხვ.

II. **საკონცერტო განყოფილება**

მონაწილეობენ: ქ-ნი მ. გ. მუსხელაშვილი, ბ-ნნი: ი. გრიშაშვილი, გ. ჩუბინოვი და ელიოზოვი.

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე **კ ჭელიძე.**

---

## ექ. ვ. ღამბაშიძის სანატორიუმი

**პატარა ცემში**

**გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:**

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ღამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს.

(25—12)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

**ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.**

**გ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

(წლ.—ნ.—364)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

დია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ღამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალიშვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**სობოლევსკი გ. მ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—203)

---

## წიგნის გამომცემელი ამხანაგობა
## ალიონი

**მიიღება ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად, 15 ივნისამდე.**

1 **კარლ კაუცკი.**—(კარლ-მარქსის ეკონომიური მოძღვრება) თარგმანი რუსულიდან **ფ. მახარაძისა**, ავტორის და კ. მარქსის სურათებით, მათი მოკლე ბიოგრაფიებით და მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობით, დაახლოვებით 500 გვერდამდე.

2 **ივ. გომართელი.** „ადამიანის ნება და ზნეობა" 100 გვერდამდე.

3 **ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** „ბედის ტრიალი" (რომანი) და „ეკვლესიის გარშემო" (მოთხრობა) ავტორის სურათით (ორივე ერთ წიგნად), პირველის შინაარსი აღებულია ქართველ თავად-აზნაურობის და მღვდელ—დღევანდელ ხამდვდელოების ცხოვრებიდან 400 გვერდამდე.

სამივე წიგნი დაიბეჭდება ცალ-ცალკე ერთ და იმავე დროს. ხელის მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის მოწერა დაიწყო პირველ მაისიდან ამა 1910 წლისა და შეწყდება 15 ივნისს.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ კვიტანციის გამყიდველი არა გვყავს, ხელის მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯი, ე. ი. 1 მ. 50 კ. სამივე წიგნის.

ვინც ზემოხსენებულ დროს განმავლობაში არ მოაწერს ხელს ხსენებულ წიგნებზე, ის ცალკე გასაყიდათ წიგნებს ვერ იშოვის, ხოლო თუ იშოვა, სამჯერ მეტი ეღირება ვინემ ხელის მოწერით.

გამომცემლობის მიზანია კარგ შინაარსიან წიგნების იაფ-ფასად გამოცემა, რასაც ამტკიცებს „ალიონი"-ს მიერ გამოცემული წიგნები: N 1. „მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა 567 გვერდიანი, ღირდა ხელის მოწერით 60 კ. და N 2. „გლეხი-კაცის ისტორია" 1080 გვერდიანი წიგნი ხელის-მოწერით ერთი მანეთი.

თუ ვინიცობაა ზოგიერთ შემთხვევაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო გადარჩა ზედმეტი ეგზემპლიარები გამოცემული წიგნებისა, ასეთები უსათუოდ სამჯერ მეტ ფასში გაიყიდება, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ვინაიდან სხვა გზით შეუძლებელია **ამ სისტემით წიგნების გამოცემა.** ამიტომ ვურჩევთ მსურველთ ხელის მოწერით შეიძინონ ხსენებული წიგნები.

გამომცემლობა ხელის-მომწერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ უცნობ პირებისაგან კვიტანციები არ იყიდონ. ხელ-მოსაწერ კვიტანციებზე დაკრულია «ალიონის» ბეჭედი.

წიგნები დაურიგდებათ ხელის-მომწერთ სექტემბრის პირველ რიცხვებში. პროვინციებში წიგნები მიიღება კვიტანციის გამყიდველთან და ტფილისში გამომცემლობის გამგესთან, კიროჩნი ქ. N 9.

როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში ხელის-მოწერა მიიღება ჩვენ აგენტებთან.

**„გლეხი-კაცის ისტორიაზე" ხელის მომწერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წიგნები უკვე გაეგზავნა აგენტებს და ცალკე ხელის მომწერთ.** ვისაც ეს წიგნი არ მიუღია, უნდა გვაცნობონ ღია წერილით, ამასთანავე თუ წიგნში ფურცლები გაფუჭებული აღმოჩნდეს, ასეთ წიგნებს გამომცემლობა გამოუცვლის ხელის-მომწერთ.

ფული და სხვა-მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія, Кирочная ул. № 9.

(0—2) წიგნის გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

---

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს 1909 წლის ნოემბრის 16 რიცხვის დადგენილება სოლოლაკში, საფიჩხიასა და კახიანურში მდებარე ქალაქის

## სამოსახლო ადგილების

მოიჯარადრეთაგან შეყიდვის შესახებ უკვე ძალაში შევიდა და მოიჯარადრეთ შეუძლიათ შეიყიდონ ადგილები. (3—ნ.—3)

---

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო.

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—26)

---

**ქართული** დრამატიული საზოგადოების გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც საზოგადოების წიგნთსაცავიდან პიესები და როლები აქვს წაღებული, საჩქაროდ უკანვე დაუბრუნოს გამგეობის სადგომში ბიბლიოთეკის გამგეს იოსებ იმედაშვილს.

(5—2) **ქართ. დრამ. საზ. გამგეობა.**

---

## განცხადებების
**მომკრები აგენტი**
## შ. ა. გაჩონია

გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში" და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—10)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაგდება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—457)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—84)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარდან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ქალებ., ყოველდღე 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**ხატისოვი ნ დ.**—ბებ., ქალ., ყოველ-დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

**მიკირტუმოვი** მინტარიანცის ნაცვლად) დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—53)

---

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტუეშელაშვილი** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ქირალოვისა. (72—გ.—66

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფი ლი კირპიჩნაია). (0—147)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქ უ თ ა ი ს შ ი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—204)

---

## მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი **სვირისა** და **კახური** ღვინოები

## ნაჩიბაძისა

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო. რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.

პატივისცემით **ჩაჩიბაია.**

(20—გაკ.—3)

---

## დ. სურამის
## კერძო პროგიმნაზიაში

**1 ენკენისთვიდან იხსნება მეორე** კლასი. მისაღები ეგზამენები დაიწყობა 25 მარიამობისთვიდან 1910 წლისა. (5—314—5)

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თავად-აზნაურთა ნაწილი დიდი ხანია ჩაფიქრებულია იმის გამო, რომ ფულები უსისტემოთ ნაწილდება. თავად აზნაურთა ფინანსიური საქმეები ძალიან გართულებულია, ცხოვრება ათასნაირ მოთხოვნილებებს უყენებს წინ, მაგრამ თავად-აზნაურთა გამგე ორგანო, საკრებულო, ყველა ამას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს. ამიტომ, განზრახული იყო განსაკუთრებულ საფინანსო კომისიის არჩევა, რომელსაც საქმეები უნდა მოეწესრიგებინა და ფულების განაწილების საქმე გონივრულად მოეწყო. მაგრამ საკრებულო წინ-აღუდგა ამ განზრახვას. ამის გამო „ერი" სწერს:

ამ ბოლო დროს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა მეტად მოსაწონ გზას დაადგა. ის იძენს კერძო საკუთრებას და აჩაღებს სხვა და სხვა სამრეწველო მომგებიან საქმეს. მაგრამ რამდენადაც ეს მიდრეკილება საქებური და სასურველია, იმდენადვე სიფრთხილე და წინ დახედულობა გვმართებს. რამდენადაც ფრთხილად ვიქნებით, რამდენადაც წინასწარ ავწონ-დავწონთ და განვსჯით ჩვენს მოქმედებას, იმდენად საქმისთვის უმჯობესი იქნება. გვგონია, შეცდომები საკმარისი ჩავიდინეთ, რომ ახლა მაინც სიფრთხილე ვისწავლოთ. მაგრამ ისტორია რომ ყველასთვის გაკვეთილი იყოს, აქამდის კაცობრიობა ბედნიერი იქნებოდა. ჩვენს თავად-აზნაურობისთვის ისტორია, მისივე წარსული მოქმედება თითქო გაქრა. კრებაზე ის აზრი გამოითქვა, რომ რადგან თავად-აზნაურობა ყოველ წლივ საკმარისად დიდ თანხას ხარჯავს სხვა და სხვა საზოგადო საქმეზე, რადგანაც ამავე თავად-აზნაურობას საკუთრებაც აქვს, რომელიც მოითხოვს მოვლას, ხარჯებს და სხვა, ამიტომ ავირჩიოთ საფინანსო კომისია, რომელიც ყოველივე საბიჯს ჩვენი მოქმედებისა ხარჯების სფერაში აწონ-დაწონს, განსაკუთრებით შეისწავლის ყოველივე საკითხს და შემდეგ თავის მოსაზრებას წარუდგენს დეპუტატთა საკრებულოს და საზოგადო კრებასაც. პირველად ამ წინადადებას წინააღმდეგი თითქო არავინ იყო, თვით კრების თავმჯდომარე, თავად-აზნაურობას წინამძღოლიც სიამოვნებით მიეგება წინადადებას. მაგრამ არ გასულა ორი დღე და როგორც კრების თავმჯდომარე წინამძღოლმა, ისე უმეტესობამ ამ აუცილებელ და ფრიად საჭირო ღონისძიებაში თითქო პირადი შეურაცყოფაც კი დაინახეს, საკითხი გაამწვავეს და კამათს ისეთი მიმართულება მისცეს, რაც არავითარ საზოგადოებაში სასურველი არ არის.

კარგი დარიგებაა, მაგრამ „კარგს მთქმელს კარგი გამგონეც უნდა". თავად-აზნაურთა საკრებულო ძალიან ძნელად დაუთმობს ხელმძღვანელის როლს იმისთანა საკითხში, როგორიც ფულების განაწილებაა.

* * *

ფინლანდიის კანონ-პროექტის ბედიღბალი კვლავ აინტერესებს რუსეთის პრესსას: მაშინ, როდესაც შავრაზმელები სიხარულით ცას ეწევიან, პროგრესიული ელემენტები საზოგადოებისა მწუხარებას აცხადებენ და ნანობენ, რომ ფინლანდიის განვითარებას წინ მეტად ძნელი დასაძლევი დაბრკოლება აღუმართეს.

საყურადღებო მომენტად სახელმწიფო საბჭოს სხდომებისა უნდა ჩაითვალოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტოლიპინის სიტყვა.—სწერს „რუსკ. ვედ."-ი. სტოლიპინმა თავისი სიტყვა პროტესტით დაიწყო. იგი პროტესტს უცხადებდა იმ ოპონენტებს, რომელთაც მთავრობის კანონ-პროექტი „კანონიერების დამრღვევლად" მიაჩნიათ. თავმჯდომარე ურჩევდა, „მხოლოდ ერთის აზრით გაიმსჭვალეთ, ეცადეთ, იურიდიულ ხაფანგში არ გაებათო". იმ აზრის აღიარება, რომ ფინლანდიისა და საიმპერიო კანონმდებლობა შესაძლებელია სწარმოებდეს ერთსა და იმავე დროს, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საკითხს განსაკუთრებით ფინლანდიის თვალსაზრისით შევხედავთ, თუ ჩვენს მსჯელობას განსაკუთრებით ვიწრო იურიდიულ საფუძველზე დავამყარებთ". იურიდიული საფუძველი სტოლიპინს „ძალიან სუსტს საფუძვლად" მიაჩნია; „ვიწრო—იურიდიული თვალსაზრისის წყალობით ადამიანი ხშირად სრულიად მოუფიქრებლად იურიდიულ თვალთ-მაქცობაში ვარდება" და სხვა და სხვ. ერთის სიტყვით, ამ შემთხვევაში იურიდიულ თვალსაზრისს გვერდს უხვევენ, და ეს გარემოება საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ მთავრობის კანონ-პროექტი მართლაც ასე ეწინააღმდეგება ყოველგვარ კანონიერებას.

ბევრი მტკიცება რა საჭიროა? იმ სახელმწიფოებრივ აქტს, რომელსაც ასე ერთსულოვნად აწერს ხელს სათათბირო, არავითარი გასამართლებელი იურიდიული საფუძველი არა აქვს. მაგრამ იქ, სადაც იურიდიული მოსაზრებანი ვერაფერსა შველის, ძლიერნი ამა ქვეყნისანი სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობენ ხოლმე. „სახელმწიფოებრივი ინტერე-

სი";—აი მთელი გასამართლებელი მოსაზრებანი სტოლიპინისა, რომელმაც ბრალიანად და უბრალოდ ბევრი პროგრესიული საქმე შესწირა მას ზვარაკად.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12—13 ივნისი.

## საზღვარ-გარედ.

**ტოკიო.** დაარსდა ახალშენთა ბიურო მინისტრ-პრეზიდენტ მარკიზ კოცურის თავმჯდომარეობით. ბიუროში შედიან: სამხედრო მინისტრი ვიკონტი ტერაუჩი და გზათა მინისტრი ბარონი გოტო. ბიუროს კომპეტენციაში შედის კორეია, ფორმოზა და სახალინი.

**კონკარნო** (ფინისტერი). სარდინკის დამზადებელ ფაბრიკის გაფიცულ მუშებს მეთევზენიც მიემხრნენ. გაფიცულები გემების დატვირთვას ხელს უშლიან და ბარიკადებს აშენებენ. მათ ჟანდარმებთან შეტაკება ბევრჯელ მოუხდათ. გამოიწვიეს ჯარი.

**ბუდაპეშტი.** ჰოფბურგში პარაკლისის შემდეგ იმპერატორმა წაიკითხა სეფე სიტყვა. გაისმა დეპუტატების „ვაშა". იუსტის პარტიის წარმომადგენელნი არსად ჩანან(?)დნენ. სეფე სიტყვაში იმპერატორი არჩევნების გამო კმაყოფილებას გამოსთქვამს და ამბობს, რომ საჭიროა სახელმწიფო მეურნეობაში წეს-რიგი დაიცვათ, აღმოვაჩინოთ შემოსავლის ახალი წყაროები, მოვაწესრიგოთ ჰუნგრეთის ბანკის საკითხები, და შემოვიღოთ საყოველთაო არჩევნები ჰუნგრეთის ნაციონალურ ერთეულის დაცვით. (გაისმის აღტაცებული „ვაშა, ვაშა") შემდეგ იგი ამბობს, რომ საჭიროა ჰუნგრეთსა და ხორვატის შორის ალძრული საკითხები მოვაწესრიგოთ და სახელმწიფოს დამცველი ძალები გავამაგროთ, რათა ყოველთვის გზათ ვიყვეთ თავის დაცვისათვინაო. ჩვენ ევროპის სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულება უფრო და უფრო მტკიცდება, სთქვა სეფე სიტყვის ბოლოს იმპერატორმა. საღამოს გაზეთები ლაპარაკობენ სეფე სიტყვის „ვაშა"-თი მიგებაზე და ამბობენ, რომ ხალხის წარმომადგენლებს ამითი სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ნაციასა და ხელმწიფის შორის გულწრფელობა კვლავ აღსდგაო. გაზეთები ხაზს უსვამენ იმპერატორის დღევანდელ კმაყოფილებას და 1906 წლის სეფე სიტყვაში გამოთქმულ უკმაყოფილებას. ოპოზიცია სინანულს გამოსთქვამს, რომ არჩევნების რეფორმას ეხლა უფრო ვრცლად იხილავენ, ვიდრე 1906 წ. (?), თითქოს რაღაც აუცილებელს პირდაპირ, თანასწორ არჩევნებზე სრულიად ხმაც არ არის დაძრულიო.

**ვენა.** საკასაციო სასამართლომ გოფრიხტერს სიკვდილით დასჯა 20 წლის კატორგით შეუცვალა.

**ბერლინი.** მთავარმა სასამართლომ განიხილა გელფელდის საჩივარი რუსეთის ხაზინაზე და ბერლინის სასამართლოს განაჩენი გააბათილა, გარეშე საქმეთა მინისტრის შუამდგომლობა სამართლიანად იცნო. საქმის გარჩევის დროს დაესწრო კაპიტანი გელფელდი და მენდელსონის საბანკირო სახლის წარმომადგენელი.

**ვაშინგტონი.** სენატმა მიიღო კომისიის წინადადება, რომლითაც ინიშნება ხუთი გამოჩენილი ამერიკელი მოქალაქე უცხო ქვეყნების მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საერთაშორისო მშვიდობიანობის შესახებ.

**რომი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც ეხება სამინისტროსათვის საგანგებო თანხის გადადებას დირიჟაბლების და ჰაეროპლანების ასაშენებლათ და შესანახათ.

**პეკინი.** მდინარე სუნგარზე მიმოსვლის საკითხში ჩინეთის მთავრობამ რუსეთს ბევრი რამ დაუთმო. ამ მიზეზით რუსეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა განაგრძოს ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** პრიზრენში გამაგრებული 10 ბატალიონი სამთო ზარბაზნებით გუშინ ლიუმში წავიდა. იქითკენვე წავიდა 4 ბატალიონი.

**ფერიზოვიჩი.** პრიზრენში ჩამოაჩრჩვეს ქალაქის ყოფილი თავი რიფათ-ბეი. დიაკოვში ჩამოახრჩვეს ექვსი ინსურგენტი. სამხედრო სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა კიდევ 12 ალბანელს, მათ შორის ცნობილ მუსა-ხაჯი-მუსტაფს. ალბანიაში მივიდა მიწების სიის შემდგენელი მთავრობის კომისია. ალბანელთა 21 ახალი სალდათი ჩავიდა სალონიკში.

**სტამბოლი.** პალატამ დაამტკიცა ბიუჯეტი: ჩვეულებრივი ხარჯები ნავარაუდევია—32.997.000 გირვანქა, საგანგებო—2.695.000, შემოსავალი 26,015.000 გირ., დეფიციტი 9.677.000 ოსმალური გირვანქა. პალატამ აგრეთვე მიიღო მესამე მუხლი მაკედონიის სადაო ეკკლესიების შესახებ კანონისა. ეკკლესიები იმ სარწმუნოების ჯგუფებს უნდა მიეკუთვნოს, ვისაც აქვს ეკკლესიის აგების ნებართვა და ამავე დროს რიცხვით სოფლის მესამედს შეადგენს. კანონის მიღების შემდეგ ბერძნები გავიდენ პალატიდან და განაცხადეს, რომ კანონპროექტის დანარჩენ მუხლების განხილვაში მონაწილეობას არ მავიღებთო.

**სალონიკი.** მთავრობის სფერები სერიოზულად შეაფიქრა სერესკის ოლქის მდგომარეობამ, სადაც გამოჩდენ რამდენიმე ბერძნების შეიარაღებული რაზმი.

**სალონიკი.** სოფელ ლაბორიბატის მახლობლათ სამი საათის სროლის შემდეგ ჯარსა და ბოლგარელების რაზმებს შორის, მოკლული აღმოჩნდა ერთი მეთაური და ერთი რაზმელი. დაჭრილია ორი ჯარის კაცი. ვატობედსკის მონასტრის მახლობლათ გამოჩენილ ბერძნების რაზმელების მიზეზით ბევრი სოფლელები და ბერები დაიჭირეს საბერძნეთის ეპისკოპოსის მოადგილემ კირმა სოფ. მაშმაკალში ბერძნების სასწავლებლის ფანჯრებიდან სროლა აუტეხა გამვლელ ბოლგარელებს, ერთი მათგანი მოჰკლა და ორა დასჭრა. იმის სახლში იპოვეს სხვა და სხვა იარაღი და ჯარის უფროსის ტანისამოსი.

### სპარსეთი

**ურმია.** ციხის ყოფილი უფროსი არიქ-ისმაილ-აღა ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებულ ქურთების ბეგს თემირჯაგოს შეუერთდა. სოფელ ჰუნისთან მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია ოთხი ასკერი, 7 ქურთი ხოლო დაჭრილია მრავალი. ოსმალების მიერ ძალით დაპყრობილ ოლქების ყველა ასკერები მიგ. შურებიან აჯანყებულთა წინააღმდეგ მომქმედ რაზმის მისაშველებლად. მათ შეუერთდა ქურთების ბეგი ომარი ასი მეომრით.

### ჰაერში ფრენა.

**ლოძი.** უტოჩკინი ფარმანის ჰაეროპლანით ორჯელ აფრინდა საჯირითო მოედანზე. ძლიერი ქარი ქროდა. დაჰყო 30 მეტრის სიმაღლეზე და $3^1/_2$ წუთში გაფრინდა 4 ვერსი, ხოლო მეორედ $1^1/_2$ წუთში ორი ვერსი. ხალხი აღტაცებით მიეგება.

**გატჩინა.** ჰაეროდრომით სამი საათის განმავლობაში ედმონდი 40 მეტრის სიმაღლეზე გაფრინდა. ფრენა ნახევარი საათი გრძელდებოდა.

### რუსეთი

**ბერდიანსკი.** ძლიერი ქარის გამო ზღვამ ნაპირებიდან გადმოხეთქა. წყალმა წალეკა ხომუტოვკის უბანი, რკინის გზის ლიანდაგი და ქუჩები.

**ოდესა.** სლავიანთა ერთობის საზოგადოებამ სოფიის კრებაზე გასაგზავნად ხუთი დელეგატი ამოირჩია.

**მოგილევი.** სენენის მაზრის სოფელ სტრუჟევირში ცეცხლმა გაანადგურა 56 სახლ-კარი.

**ეკატერინოსლავი.** მარიუპოლში ლამე ძლიერი ქარისა და ნიაღვრის გამო შესწყდა მატარებლების მიმოსვლა.

**ეკატერინოსლავი.** იუზოვკაში შეიპყრეს ყაჩაღთა ჯგუფი, რომელიც მცხოვრებლებს აწიოკებდა და სცარცვავდა. მოტაცებულის ნაწილი წაართვეს.

**რიგა.** გაიხსნა საერთაშორისო სამხატვრო გამოფენა. გამოფენილია გერმანიის, იტალიის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუსეთის და საფრანგეთის მხატვართა ნაწარმოები.

**დუბოვკა.** ბეკეტოვსკაიას ახლოს ხე-ტყის საწყობს ცეცხლი გაუჩდა ზარალი 170,000 მანეთია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო სათათბიროში შესატანად მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც კერძო პირებს პირობებით ეძლევათ ნავთის სახაზინო ადგილები დასამუშავებლად.

**ვილნა.** როგოჩევში მოლოდეჩნოში გაიხსნა პედაგოგიური კურსები.

**პოლტავა.** ბოგდანახში შეიარაღებულნი ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ საარყე დუქანს. დუქანში მყოფთ და ყაჩაღებ შორის ასტყდა სროლა. ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს 300 მანეთი და მიიმალნენ. ერთი საეჭვო პირი დააპატიმრეს.

**ბერდიანსკი.** შუაღამისას ქარი მინელდა და ამიტომ წყალი იკლო წყდა. ხომუტოვკაში წყალმა დაანგრია და ზღვაში ჩაიტანა 6 სახლი. ამ რაიონის ყველა სახლები წყლით გაივსო. ქალაქის სამართველომ ღამე ქალები და ბავშვები საშიშ საშიშ ადგილებიდან სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში გადაიყვანა. მატარებლები და გემები არა მუშაობენ.

**ნოვოგრუდოვი.** დაბა ლიუბჩში გადაიწვა 70 სახლ-კარი.

**მოსკოვი** მეაფთიაქეთა და ფარმაცევტების კრებამ საპენსიო კასა დროებით დახურულად იცნო და დაადგინა შეინახოს მისი კაპიტალი. კასის ახალი წესდების შესადგენად ამოირჩია კომისია. ამისთვის 10,000 მანეთი გადაიდო.

**სოლიკამსკი.** სადგურ უსოლსკიდან 7 ვერსის მანძილზე ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ ფოსტას. დაჭრილია დარაჯი და მეეტლე. ფოსტა გადაარჩინეს.

**რადომი.** სადგურზე ფოსტის მატარებელი დაეჯახა მოვარჯიშე ორთქლმავალს. ორთქლმავალი და ვაგონები დაზიანდა. დაშავდა ორი მოსამსახური.

**კიევი.** ბოლგარეთის, სერბიის და ოსმალეთის შესასწავლად მიდის მასწავლებელთა და სტუდენტთა ორი ჯგუფი. ეს ექსკურსია მოაწყო ბოლგარეთის წმ. ადგილების თაყვანის საცემლად მოგზაურობის მომწყობმა კომიტეტმა. ექსკურსანტებს კომიტეტის წევრები წაყვებიან თან.

**ნიკოლაევსკი.** (სამარ. გუბ). სოფ. კრასნაია პოლიანაში სეტყვამ ჩარეგვა გლეხების 2000 დესეტინა ნათესი. ზარალი 100,000 მან. უდრის.

**ტაშკენტი.** 12 საათსა და 3 წუთზე მიწა იძრა.

**პლოცკი.** მოვიდნენ სენატორის რევიზიის მოხელენი სამხედრო საკრებულოების რევიზიისთვის.

**მოგილევი.** ჰომელის მაზრის სოფელ დობრუშში გადაიწვა 94 სახლ-კარი.

**ვარშავა.** შეიპყრეს 8 კაცისაგან და ორი ქალისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც რკინის კასებიდან ფულს იპარავდა. შეპყრობილთა შორის არის იაროსლავის გუბერნიის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი გრჟიბოვსკი. იგი მოსკოვში 100,000 მანეთის მოპარვაში იღებდა მონაწილეობას.

**ეკატერინოსლავი.** იუზოვკაში შეიპყრეს ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც ვაჭარ ვასილიევს 3200 მანეთი წაართვა. შეპყრობის დროს ყაჩაღებმა დასჭრეს მეეტლე და სახელმწიფო ბანკის მოხელე.

**პეტერბურგი.** მოვიდა იაპონიის გზათა მინისტრის ამხანაგი ნაკაზონი.

**პეტერბურგი.** ტავრიდის ქუჩაზე თავის სახლში ცოლმა მოჰკლა ხაზინის უფროს კასირი ივაშკევიჩი. მკვლელი დააპატიმრეს.

### ხოლერა

**კერჩენიკალე.** ხოლერით კიდევ ავად გახდა ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ერთი ქალი, ორიც ქალაქში. სულ ავად არის 6 კაცი.

**ოდესა.** ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ავად არის 11 კაცი.

**ეკატერინოდარი.** ეპიდემიის გაჩენის აქეთ ოლქში ხოლერით ავად გახდა 175, მორჩა 10, გარდაიცვალა 89 კაცი. ქალაქში ავად არავინ გამხდარა.

**დონის-როსტოვი.** ხოლერით ავად გახდა 1255, გარდაიცვალა 384 კაცი.

**პავლოგრადი.** სინელნიკოვში ხოლერით ავად გახდა 2, სლავგოროდში 3 კაცი, პავლოგრადში გარდაიცვალა 1.

**კრემენჩუგი.** ოთხ სოფელში ხოლერით ავად გახდა 20, გარდაიცვალა 7 კაცი. ქალაქში ბაზრობა აკრძალეს.

**პეტერბურგი.** ტფილისიდან და ვორონეჟიდან ჩამოსული ორი კაცი ხოლერით ავადმყოფად იცნეს.

**ჩერნიგოვი.** გუბერნიაში კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 101, გარდაიცვალა 39 კაცი. ქალაქში ჯერ ავად არავინ გამხდარა.

**ალექსანდროვსკი.** კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 109, გარდაიცვალა 47, ავად არის 94 კაცი.

**კიევი.** ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 79, ავად არის 150 კაცი. გუბერნიაში ავად გახდა 131, გარდაიცვალა 28 კაცი.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კურს დამთავრებულნი.** ტფ. ქალთა მესამე გიმნაზია წელს შემდეგ ქართველმა ქალებმა დაამთავრეს. ელენე პავლიაშვილმა (ოქროს მედლით) ანნა ზარაფიშვილმა (ვერცხლის მედლით) ნინო ლომკაციშვილმა (ვერცხლის მედლით) მარიამ. თეთრაძემ (ვერცხლის მედლით) ნინო კარახანოვმა, თამარა ყორადლიშვილმა, მარიამ ფიცხელაურმა, ბარბარე სვიმონიშვილმა, თამარ ბახუტაშვილმა, რიფსიმე გაგლოშვილმა, ნატალია ესიტაშვილმა, სოფიო კურდღელაშვილმა, თამარ მალალაშვილმა.

✦ **მღვდელ გძელიშვილის თხოვნა.** როგორც გადმოგვცეს, მღვდელს გრძელიშვილს, სანთლის ქარხნის ყოფილ ზედამხედველს, ეგზარხოსისათვის თხოვნა მიუცია. მღვდელი თურმე ექსარხოს სთხოვს, რადგან ოლქის სასამართლომ ფულის მითვისების საქმეში გამამართლა, ამიტომ ხელდრი ჯამაგირი მომეცით და აგრეთვე ნება დამრთეთ კვლავ განვაგრძო მღვდელთ-მსახურებაო.

✦ **დეპუტატების ჩამოსვლა.** ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდნენ მესამე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ევ. გეგეჭკორი და კ. ჩხეიძე, რომელნიც ტფილისიდან იმავ დღეს ქუთაისს გაემგზავრნენ.

✦ **ციხიდგან განთავისუფლება.** 12 ივნისს მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ამას წინად დაპატიმრებული ალ. გ. ჯაბადარი.

✦ **გოგირდის წყალის აღმოჩენა.** ამ დღეებში ქალაქის მეექვსე უბანში, აბანოების მახლობლად, თავ. ივ. მ. სუმბათოვის ადგილში ახალი გოგირდის ცხელი წყალი აღმოჩენილა. წყალი თურმე ბლომად გადმოდის. თავ. სუმბათაშვილს, როგორც გადმოგვცეს, განუზრახავს იქ აბანო აავოს.

✦ **ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.** კვირას, 13 ივნისს, ტფ. საკრებულოს სადგომში მ. ნ. ათაბეგოვის თავმჯდომარეობით ტფ. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა კრება მოჰხდა. კრებას უნდა აერჩია სარევიზიო კომისიის ორი წევრი და სამი მათი კანდიდატი. საზოგადოების წევრმა ი. ო. არუწოვმა წინადადება მისცა კრებას ყუთი არ დაედგათ იმ კანდიდატებისთვის, რომელნიც წინად გაუშავებიათ და ან სარევიზიო კომისიის წევრებად ყოფილან. რადგან ამის ნებას წესდება არ აძლევს, ამიტომ ეს წინადადება მხოლოდ იქმში იქმნა შეტანილი. ყუთი დაიდგეს 7 კაცმა, რომელნიც გააშავეს, გარდა ტერ-მიქელოვისა, რომელსაც 131 თეთრი და 101 შავი კენჭი ამოუვიდა. სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა და სამი კანდიდატის არჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ **ქალაქის შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოება.** კვირას, 13 ივლისს, ქალაქის გამგეობის სადგომში ვლ. ელიავას თავმჯდომარეობით ქალაქ ს თვითმართველობის შემნახველ გამსესხებელ კასის წევრთა საზოგადო კრება მოჰხდა. კასის 519 წევრიდან კრებას მხოლოდ 18 კაცი დაესწრო. როგორც ანგარიშიდან სჩანს, 1909 წელს კასას 193 წევრი ჰყოლია, ხოლო 1910 წლის პირველ იანვარს 425 კაცი, 1910 წლის პირველ ივნისს კი—519 წევრი. კრებას ისეთი საყურადღებო საკითხი ჰქონდა განსახილველი, როგორიც არის კასის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და ამიტომ საჭირო იყო ამ საკითხის განხილვას უფრო მეტი წევრი დასწრებოდა, მაგრამ კრება კანონიერად იყო აღიარებული მხოლოდ იმიტომ, რომ მეორედ იყო იგი დანიშნული, კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ. უმთავრესი ცვლილება ასეთია: წესდებით აქამდე კასის წევრს შეეძლო მეორე წევრის თავმდებობით ერთის თვის ჯამაგირის ოდენი ფული გაეტანა კასიდან, ახლა კი კრებამ დაადგინა წესდება იმ გვარად შეიცვალოს, რომ წევრს ორი თვის ჯამაგირის ოდენი ფულის გატანის ნება მიეცეს. აგრეთვე საჭიროდ იქმნა აღიარებული, რომ კასის წევრს კასაში შეტანილი ფული მაშინვე დაუბრუნდეს, როცა წევრობას თავს დაანებებს და არა ერთის წლის შემდეგ.

✦ **საპედაგოგიო კურსები.** დღეს, 15 ივნისს, ტფ. სამოსწავლო ინსტიტუტში გაიხსნება საპედაგოგიო კურსები სახალხო სკოლათა მასწავლებელთათვის.

✦ **ქალაქის ახალი საყასბო.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ნავთლუღში ქალაქის თვითმმართველობისა და საზოგადო დაწესებულებათა თანადასწრებით მოჰხდება ქალაქის ახალ საყასბოს საძირკველის ჩაყრა და კურთხევა.

✦ **საბირჟო არტელი.** 6 ივნისს ტფ. საბირჟო არტელის თანამდებობის პირთა არჩევნები მოჰხდა. არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ—ვლ. დ. ქალანთაროვი, მის ამხანაგად—ტ. პ. ხოჯა-თუმანიანცი, საქმის მწარმოებლად—ს. ვ. ედიგაროვი და ბუჰგალტრად—კ. ი. ხაჩატურიანცი.

✦ **დაპატიმრება.** 12 ივნისს პოლიციელმა ტფილისში დააპატიმრა საგარეჯოს მცხოვრები ალექსანდრე ედიგარის ძე ქურხული, რომელიც 1907 წლიდან სამხედრო ბეგარას ემალებოდა. შეპყრობილი ტფ. მაზრის სამხედრო საკრებულოს გადაეცა.

✦ **ექსკურსია.** ივნისში ტფილისში ჩამოვა რიგის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მოსწავლეთა ექსკურსია მასწავლებლის გ. ვ. ტაუბეს ხელმძღვანელობით. ტფ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ პოლიციელებმა ყოველი კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ ექსკურსანტებს.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა მაქუბარ განყოფილების უფროსს და უბნის ბოქაულებს დაავალა მოსძებნონ მარტყოფის მცხოვრები ალექსი ბედიანაშვილი, რომელიც სოფლიდან 9 ივნისს ჩამოვიდა და უკვალოდ დაიკარგა.

✦ 12 ივნისს, საღამოს 11 საათზე თონეხის შესახვევში ვორონეჟის გუბერნიის მცხოვრებმა აკიმ სუხანოვმა თავის მოკვლის განზრახვით გულში რევოლვერი დაირტყა. სუხანოვი მიხაილის საავადმყოფოში გაგზავნეს და მეორე დღეს დილით გარდაიცვალა. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ 12 ივნისს პოლიციამ ქალაქში 21 უპასპორტო შეიპყრო, ხოლო 13 ივნის-50.

—

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში, ახალ ამბავში, ქართულ გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულთა სიაში სწერია: „ესტ. აუბლაშვილი"; უნდა იყოს: „ტარასი ყუბლაშვილი.

## ლექციები სახალხო მასწავლებელთათვის ქუთაისში.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ბ. ლ. სიმიონოვის თაოსნობით ივნისის 7 რიცხვიდან მთავრობის ვაჟთა გიმნაზიაში მოწყობილ იქმნა საზოგადო განათლების და პედაგოგიური შინაარსის უფასო ლექციების კითხვა სახალხო მასწავლებელთათვის. ლექციების კითხვას უკვე შეუდგნენ 8 ივნისს და გაგრძელდება სამ კვირას, ე. ი. ამ თვის დამლევამდე. ლექციების კითხვა დანიშნულია ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 8 საათიდან 12-მდე. დღეში იკითხება ოთხი ლექცია და თვითეული გრძელდება ერთ საათს. ამ გვარად, როგორც გვიჩვენებს დირექტორის მიერ შედგენილი ნუსხა, ამ სამი კვირის განმავლობაში წაიკითხება სულ 72 ლექცია; ამ რიცხვიდან: **ჰიგიენა—16 საათი, საზოგადო ისტორია—15 საათი, რუსული ლიტერატურა—14 საათი, კანონმდებლობა—10 საათი, დიდაქტიკა და მეთოდიკა—17 საათი.** ლექტორებად მოწვეულნი არიან ექიმი ხუნდაძე (ჰიგიენა), მასწავლებელი ნათაძე (საზოგადო ისტორია) მასწავლებელი ვ. იურკევსკი (რუსული ლიტერატურა), ოლქის სასამართლოს წევრი ს. მიქელაძე (კანონმდებლობაზე) სამოქალაქო სასწავლებელთან არსებულ პედაგოგიურ კურსების ხელმძღვანელი მასწავლებელი დ. ნიკონოვი (დიდაქტიკა-მეთოდიკა). აგრეთვე სადამოობით ერთი ნაწილი მასწავლებელთა მოისმენს სამეურნეო სასწავლებელში ლექციას სამეურნეო დარგიდან და მეორე ნაწილი კი გაეცნობა შეძერწის კურსებს (курсы лѣпки), რომელიც არსებობს რეალურ სასწავლებელში და გრძელდება ამ თვის დამლევამდე. განზრახულია აგრეთვე შესრულდეს რამოდენიმე ექსკურსია განმანათლებელი მიზნით. სოფლიდან მოსულ უბინაო მასწავლებელთათვის მოწყობილია ბინა გიმნაზიის პანსიონში, იქვე შეუძლიან ხარჯში იოლად გამოვიდნენ. როგორც გავიგე სახარჯო ფული მასწავლებლებს მიეცათ სკოლის სპეციალურ საშუალებიდან, სადაც მოიპოვება ასეთი და სადაც არ არის, შესაძლებელია დირექციიდან მიეცეს 20—25 მანეთამდე თვითეულ მასწავლებელს. მასწავლებელთა რიცხვი ჯერჯერობით 30 აღის, რაიც მცირედათ უნდა ჩავთვალოთ. ასეთი ლექციები პირველად არის ქუთაისში და ეჭვი არა სარგებლობა მოუტანს მიყრუებულ სოფლებში მომსახურე მასწავლებლებს. სასურველია მსმენელთა რიცხვი ერთსამად გადიდდეს, რათა ლექციების მომწყობი-ინიციატორიც გამხნევდეს და შემდეგში უფრო კარგად მოეწყოს საქმე. **ლადო ბზვანელი.**

## ქუთ. ქალაქის თვითმართველობა და მისი სკოლებზე მზრუნველობა.

ამას წინად ზედა-საფიხვნის სკოლის შესახებ ჩემი პატარა წერილი იყო მოთავსებული „სახალხო გაზ." მე-2 ნომერში. იმ წერილში მოთხრობილი მქონდა, თუ როგორის თვალით უყურებენ ჩვენი ქალაქის მამები ახლად დაარსებულ სამინისტრო სკოლას. ... რიბ მცხოვრებთათვის არსებულ სამინისტრო სკოლას დახმარებას არ უწევენ. დიდის თანაგრძნობით მივეგებ... ბოდით ქ. მამებს და სკოლების გამ...

კომისიას, რომ ისინი მართლა ემსახურებოდნენ რაიმე პრინციპს, იცავდნენ თავიანთ უფლებებს. საქმე იმაში კი არ არის, რომ უფლება გარეგნულად ატარო, სკოლა ქალაქის სახელით იყოს მონათლული, არა, საქმე ის არის, თვითმართველობის ორგანომ გამოიყენოს თავისი უფლებები. სკოლებს ფაქტიურად დაპატრონოს, მასწავლებელთა შტატი თვითონ მოიწვიოს და პროგრამების საქმესაც გაუძღვეს. ქუთაისის პირველდაწყებითი სკოლები ფაქტიურად დირექციის ხელშია, მასწავლებლად დებულობენ მათ, ვისაც დირექცია პროტექციას გაუკეთებს, ვისაც აითვალწუნებს, იმას სდევნიან, ვისაც აქებენ—იმას ადიდებენ. დირექცია ახლად გახსნილ სკოლისათვის, რომელიც ქალაქის საზღვრებში მოთავსებული და რომელშიაც ამ ჟამად 50-დის მოსწავლე სწავლობს, თხოულობს უოველ წლიურად 250 მანეთის შემწეობას. მაგრამ ქალაქი არ ვიცი რა მოსაზრებით შემწეობას არ იძლევა. ესაათ და იქ სკოლა საჭირო არ არისო, იქ მთავრობის პროგრამმათ და სხვა მიზეზები. ეს ასალი სკოლა ამას წინედ ცუდათ მოიხსენია ვიღაც ბ. „ფიქრმა“ ჟურნ. „განათლებაში“ და საზოგადოთ სამინისტრო სკოლები ძლიერ აძაგა ქ. მამების გასაგონად. წერილის ავტორი ურჩევს ისედაც ძუნწ მამებს შემწეობა არ მისცეთ სამინისტრო სკოლებს, თორემ დიდ ცოდვას ჩაიდენთო. ქ. პირველ-დაწყებითი სკოლები ბ. ფიქრს წმიდათა-წმიდათ მიაჩნია, მასწავლებლები ხეციდან ჩამოგზავნილნი და პოლიტიკანობიდან სრულიად თავისუფალნი და ამნაირად „უპრაველებს“ თვალებს უხვევს. მაგრამ ამნაირი წარმოდგენა წერილის ავტორის მხრითაც „მარტო“ სამინისტრო სკოლებზე სრული სიბეცეა, რადგანაც ჯერ ერთი, რომ ყველა სკოლებში პროგრამები ერთი და იგივეა, მერე თუ ასე მაცადინო არიან, რომ სკოლაში რაიმე პოლიტიკა არ შეეპაროთ, როგორ დაემართად რომ შარშან ერთ-ერთ ქ. სკოლაში მათმა (მამების) დანიშნულმა მასწავლებელმა წინააღმდეგ **1881** წლის გეგმისა პირველ განყოფილებაში შემოიღო რუსული წერა-კითხვა, რაც თავის დროზე იყო აღნიშნული გაზეთებში და რაზედაც ნიშნად **თანხმობისა** პასუხი არ გაუცია არც ქ. მამებს და არც თვით მასწავლებლებს, როგორ მოუვიდათ ისიც, რომ ფოსტორკოვ-ენუქიძის მარჯვენა ხელი და აპორდიის სისტემის გამავრცელებელი ქალაქის სკოლაში ამოასკუპეს.

ახლა შევეხოთ საკითხის არსებით მხარეს. ახლად დაარსებულ სამინისტრო სკოლის მახლობლად ქალაქს აქვს პირველდაწყებითი სკოლა, რომელსაც პეტრიაშვილის სკოლა ერქვა და ამ ჟამად განაგებს ბ. ოდიშარია. ამ სკოლაში ეს ორი წელიწადია მოსწავლეთა რიცხვი ოცდაათს არ ასცილებია და ახლა კი 13—15-დის ჩამოვიდა და ამ გაცალიერებულ სკოლაზე ქალაქი ხარჯავს 3500 მანეთზე მეტს. თუ 13—15 მოსწავლისათვის ქალაქი ასე გულუხვობს და 3500 მანეთს ხარჯავს, რა გაუჭირდა, რომ საფირჩხიის ახლად დაარსებულ სამინისტრო სკოლას, სადაც უკიდურესი დარიბების შვილები იზრდებიან, მათთვის გაიმეტოს და მისცეს რაღაც სამასი მანეთი, რომელსაც მცხოვრებნი ქალაქისაგან თხოულობენ.

რა მიზეზია, იკითხავს მკითხველი, რომ ამ ძველად დაარსებულ სკოლაში ბავშვების რიცხვი სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ახლად დაარსებულ სკოლაში? ამის პასუხი თვით ქალაქის მამებისათვის მიმინდვია, მე კი მიკვირს, რომ არქიელის მაღლობზე მცხოვრებლები დიდი ხნიდან თხოულობენ სკოლის გახსნას და აქამდის მათი თხოვნა დაუკმაყოფილებელია! უმჯობესია ქალაქმა ეს დაცალიერებული სკოლა იქ გადაიტანოს და მრავალ დარიბ მცხოვრებთა სულიერი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს, საფირჩხიელებს კი ახლად დაარსებული სკოლა დაუტოვონ და შესაფერი შემწეობა მისცენ.

**ნეგო ხიმონელი.**

# უკრაინელი მწერალი

**ვ. ვინნიჩენკო.**

ამ ჟამად უკრაინელების ახალგაზდა მწერლებში ყველაზედ მეტს ყურადღებას ვ. ვინნიჩენკო იპყრობს. მის ნაწარმოებნი და მოვლენანი, რომელსაც ახალგაზდა მწერალი ეხება და ჰხატავს თავისი თაჰამი, ლაღი და ნათელი კალმით სულ სხვა და სხვა მსჯელობას იწვევს.

ვინნიჩენკოს შემოქმედების დამახასიათებელი თვისებაა გაბედული ძებნა ჰარმონიისა, სიმართლისა, შეთანხმება ადამიანის გულის წადილისა მისს მოქმედებასთან. ვინნიჩენკოს თავ-გამოდებით უყვარს სიცოცხლე, ამ სიყვარულითაა სავსე მთელი მისი ნაწარმოებნი, და მას ყალბ დისჰარმონიად ეჩვენება ყოველი შეზღუდვა სიცოცხლის უფლებებისა.—ვინნიჩენკო მისი თანახმაა მხოლოდ მაშინ, როცა ეს დისჰარმონია აიხსნება რომელიმე დიადი ძილის ჩარევით ასე, მაგ. იმისი დრამის „მოლოხის“ გმირს არ უნდა თავისი პირადი დამოუკიდებლობა თავისს ამხანაგურ წრის დისციპლინას შესწიროს, სანამ კატრია, მისგან წამოყენებულ სიცოცხლისა და ადამიანთა ურთი-ერთ დამოკიდებულების სოციალურ იდეალის სილამაზით არ დაიპყრობს სუსტ და ეგოისტ ზინკას; და მხოლოდ მაშინ ის უკუ-აგდებს თავისს ეგოისტურ გულისწადილებს. ერთს მოთხრობაში ვინნიჩენკო, თუმცა ყველგან ფარდახა ხდის ადამიანის სულის სიღრმეში გამეფებულ ეგოიზმს, მაინც იძულებულია ალტრუიზმიც იწამოს. ეს მოთხრობა **„Щось більше за нас“**, წარმოადგენს ორი მეგობრის სულიერ მდგომარეობია პსიხოლოგიურ ანალიზს. ეს ორი მეგობარი განუსაზღვრელი ხნით სხედან სატუსაღოს ერთს საერთო სენაკში. მოთხრობის დასაწყისში იმათ ერთმანეთი უყვართ, შემდეგში დასუსტებული ნერვები, ყოველდღე ერთმანეთის ყურება, ერთმანეთზე უმიზეზო ბრაზის მოსვლა, მათში სიძულვილისა ჰბადებს. მაგრამ რაღაც „უფრო ძლიერი“, მშვენიერი აღძვრის ერთს ამხანაგს გულში იმ წუთში, როცა ორივენი სატუსაღოდგან გაიქცევიან, და ეს „რაღაც უფრო ძლიერი“ აიძულებს მას აღასრულოს ალტრუიზმის დიდებული ღვაწლი და, თვისი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებით გადაარჩინოს თავისი უფრო სუსტი ამხანაგი. რასაკვირველია, მოთხრობის აზრი ძველია, მაგრამ ვინნიჩენკო მაღალი გრძნობის გამარჯვებას სრულიად თავისებურად უდგება, სანტიმენტალიზმის უაჩრდილოთაც კი თავს არ უხრის ალტრუიზმს და მასში ჰხედავს რაღაც ისეთსავე „ბნელს, დახავსებულს და შეუგნებელს, როგორც ქარი და ავდარი“, რომელიც სატუსაღოდან გაქცეულთა გარეშემო ჰგუგუნებდა და თითქოს ისწრაფოდა ყველასთვისაც შეეტყობინებია გამარჯვება იმ რიდასიც დიდისა დაძლიერისა, ვიდრე სიძულვილი, სიკვდილის შიში, თავისუფლების სიყვარული, უფრო ძლიერისა თვით ამ ვასიუკზედ, რომელიც მისგან გადარჩენილ ამხანაგს მაინცა სძულს კიდევ. წინააღმდეგ რომ მომხდარიყო და ვასიუკის გულში ეგოიზმს გაემარჯვნა, ვინნიჩენკო აგრეთვე ობიექტიურად შეხვდებოდა მასაც: იმისათვის ადამიანი ლამაზისა და ცუდი აბსოლუტების მტარებელი კი არ არის, იგი არსებაა, რომელიც სცხოვრობს გულის აზრით, შთაბეჭდილებებით და თავის სულიისა და სხეულის ყველანაირი საკითხების დაკმაყოფილებით. ადამიანი ბუნების ნაწილია, უფრო ნაკლებ ბედნიერი, რადგანაც მან ყალბ დისციპლინების მთელი რიგით შეიზღუდა სიამოვნება-სიტკბოებისაკენ მიმავალი გზა.

ვინნიჩენკოს ამ აზრის დამახასიათებელია მეორე მისი მოთხრობა „წუთი“. ყმაწვილი ქალი და ყმაწვილი კაცი, რომელთაც წინად ერთმანეთი თვალით არ უნახავთ, კონტრაბანდისტის ფარდულში შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს, რომ იქიდან საზღვარ-გარედ გაიქცნენ. გლეხის ტანისამოსში გადაცმულნი, ისინი ერთად მიეშურებიან სახიფათო საზღვრისაკენ, საიდანაც ყოველ წუთს მოელიან მოსაზღვრე დარაჯის ტყვიას. ირგვლივ კი ცხოვრება ისე მშვენიერია, ორთავეს ისე უყვართ სიცოცხლე, ორნივ ყმაწვილებია: და აი, როცა ტყეში შევიდნენ, ტყის ცხოვრების ატმოსფერამ მოიცვა ისინი. ვინნიჩენკო ამას ნამდვილ პოეტურად აღწერს.

„მინდვრები გათავდა. ტყე იწყობოდა. დიდს, ბებერს მუხებს განზედ გაეშალათ ტოტები, თითქოს უნდათ ბანჯგვლიანი ხელებით თავისს ორგულ გულზედ მივეხუტნეთ. ჩვენ ბუჩქებში შევედით, ავირჩიეთ ადგილი, საიდგანაც ვხედავდით მთელს ტყეს და ჩვენ კი არა ვჩანდით, დავსხედით და დავიწყეთ ცქერა. ტყე თითქოს შეურიგდა ჩვენს იქ ყოფნას, ისე მკაცრად და მტრულად აღარ გვიცქეროდა... და განაგრძობდა თავისს ცხოვრებას, სიყვარულისა და განვითარების ცხოვრებას. ბუჩქის მკრთალ ყვავილებზედ ზუზუნებდა ფუტკარი, სადაც მაღლა ხეს ნისკარტს უკაკუნებდა კოდალა, აი ორი ჩიტი ერთი ტოტიდან მეორეზედ ფრინავდნენ, გვიცქეროდნენ და ერთდებოდნენ სიყვარულის ალერსში. პეპლები დაფრინავდნენ და სიყვარულის ალტაცებაში ეკონებოდნენ ერთმანეთს ან სანეტარო უძლურობაში სხდებოდნენ ფოთლებზედ და ნაზად არხევდნენ ულვაშებსა; ბალახებში მუმლი და ჭია-ღუა ფუთფუთებდა. და ყველასა ჰყავნდა თავისი წყვილი. ცხოვრების დიადი, მშვენიერი პროცესსი სრულდებოდა“.

ვინნიჩენკოს ეს პროცესსი იმ გვარად უყვარს, როგორც ის სწორმოებს ტყეში, მინდორში, ის ხედავს მას წმინდას, ადამიანების ყოველგვარ მორალებით დაუმახინჯებელს, ძლიერს, ცხადს, მარტივს. „მიყვარს ეს ჭია-ღუა, ჩიტუნები, ეს პატარა შეუგნებელი პროტესტანტები თავის უფროსი ძმის—ადამიანის თვალთმაქც პირმოთნეობის წინააღმდეგ. ისინი ეძლევიან ამ პროცესს მთელი ცინიზმით (როგორც იტყოდა ადამიანი) და ამით თითქმის ჭიაღუა პეპლები ეუბნებიან ხალხს: აი, გვიცქირე. ჩვენ დასამალი არა გვაქვს რა, არა გვყავს უკანონოდ დაბადებულნი, არა გვაქვს პასპორტები, არც მორალი, არც სხვა კანონები,—ჩვენ პატარა, სალი, წმინდა ცინიკები ვართ“. და აი ამ სიცოცხლის დღესასწაულში ორი ყმაწვილი, რომელთაც ადამიანები სდევნიან, ყოველ წუთს სიკვდილით, იმათაც აღელვებთ სიცოცხლის სურვილები, მაგრამ „ვერა ბედავენ“ მისცენ თავი ამ სურვილებს... „შეიძლება ჩვენ ეხლა დავიხოცნეთ, ამბობს ვინნიჩენკო, აღარ იქნება აღარც მორალი, არც ეს ჭია-ღუა, ალერსი, სითბო, მაგრამ ჩვენ ვერ გავბედავთ!“.

მთელი ვინნიჩენკო ამ დაპირდაპირებაშია, ამ იდეალიზიციაში ყველა სტიქიურისა. მარტივისა, და ყველა არა-ბუნებრივისა, ხელოვნურისა და პირფერულის გაკიცხვაში.

ვინნიჩენკო თავისი შემოქმედებით მოამბე-რეალისტია. მისს მოთხრობებში ნათლად გამოსჭვივის მისი მხატვრული ნიჭი. ვინნიჩენკოს აქვს დრამებიც, მაგრამ ამ ფორმით ის სარგებლობს მხოლოდ როგორც საუკეთესო ტრიბუნით თავისი მორალური შეხედულობების გამოსარკვევად. მოთხრობებში ვინნიჩკო დიად მხატვრულ სურათებს გვიშლის თვალწინ, როგორც გლეხკაცის ცხოვრებიდგან, ისე მშვენიერს ანალიზს თანამედროვე ინტელლიგენციის ავადმყოფ სულისას.

საზოგადოდ ვინნიჩენკო ნამდვილი პოეტია წუთის სულიერ განწყობილებათა, პოეტი ადამიანის სულის ფარული, მაგრამ დამახასიათებელი მოძრაობისა. ვინნიჩენკოს უყვარს ის წუთები, როცა ადამიანი აფექტისა ან რომელიმე ძლიერი გარეგანი შთაბეჭდილებების გავლენით მთლად გამოსჭვივის. და აქ ვინნიჩენკო სრულ ობიექტივობას იჩანს: ის ერთნაირად აღწერს ადამიანის გულში გამეფებულ მხეცურ ინსტინქტებს თუ კეთილ გრძნობებს. ის მათ არ ამართლებს, როგორიც არის იმისთანას აჩვენებს, მშვენივრად სწერს აგრეთვე ვინნიჩენკო ხალხის პსიხოლოგიას.

ჩვენ მოკლე განხილვის ბოლოში თამამად გავიმეორებთ მასვე, რაც თავში ვთქვით: ვინნიჩენკო დიდი მწერალია, ფართო პოეტური ნიჭით, ცოცხალი და ნათელი კალმით; მისი შემოქმედება რეალურია, სასიამოვნო თავისი თამამი, დაჟინებითი ძებნით ცხოვრების ახალი ზნეობრივი საფუძვლებისა, რომ ადამიანი განთავისუფლდეს ძველი ტრადიციებიდგან და შეგნებული თავისუფალი გაემართოს ახალი გზისკენ.

**გ. ნამორაძე.**

# პატარა ფელეტონი

## საბრალო არის ადამიანი!

**(გრ. ვ—ძეს)**

მაისის ღამე ბნელ თვალიანი გადმოსწოლია მძინარე სოფელს. სოფლებს არე-მარე, ყუჩობს ბუნება. ხმა არსაიდან. მდუმარებაა... ყრუ მდუმარება. მაგრამ ჩუ!.. ქარმა გაისისინა. სიმებს ჩამოჰკრა ეოლეოსმა და აქვითინდა, ელვამ გააპო ბნელი წყვდიადი, ცის კაბადონზედ მკრთალი სხივები მიჰკლანკ-მოკლანკა. მეხის გრიალი, წვიმის შხაპუნი ერთვის ერთმანეთს. გაკითხვისა დღე ნეტავი თუ დგება?! მხეცთა მონახეს თვისი ბუნაგი და შიშით, ძრწოლით მას შეეფარენ... მხოლოდ ერთი აღარ ისვენებს—ადამიანი; არ იკის სად დაუდევას ბრძოლის საზღვარი. წამების ჯვარსა ზურგით მიათრევს, მთლად ოფლში სცურავს, მაინც არ დრკება, აღთქმისქვეყნისკენ გზას მიიკაფავს... მაგრამ ვაგლახ! ულვთოდ მარცხდება, სწყევლის თავის ბედს, უკან ბრუნდება.

საბრალო არის ადამიანი!
იცის ეს ზეცამ და იცრემლება
არა ერთჯერ და ორჯერ სმენია მას მისი
მოთქმა, გვნესა, გოდება,
ცრემლებით ხატავს ის თანაგრძნობას
დიახ, საბრალო მას ებრალება.

***

წვიმამ გადიღო და ქარიც ჩადგა, ოდნავ სისინებს ნელი ნიავი. ფოთოლს დანამულს გულში იხუტებს, თავზედ ევლება, როგორც ფარვანა. ასე ძლიერად უყვარს მას განა? ტყეც გახალისდა, ღიმილით უთხრა ზეცას სალამი; გამოიღვიძა ისევ ბუნებამ, ძლევის ალმართა დროშა, ალამი. სადღაც ბუჩქებში სევდიანის ხმით ჩაიქვითინა გრძნობისა მეფემ, უცდის სუმბული, თრთის და ცახცახებს, იცნო მისი ხმა, მისი არის რგი მგოსანი.

აგერ ნარგიზი.. ვარდი, ზამბახი, ჩაჰკონებია ვაზი ვაზის ტოტს; ეთემაშება წყარო ანკარა მორთულ მოკაზმულს ბუნების წალკოტს, ზეცის შვენებას, მიწად ჩამოსულს.

სატრფოვ! ბუნება! ნეტავი კიდევ არის, სადმე ბედნიერება, ან შენ წიაღში ცხოვრებას ის შეედრება?!!

ჩუ!.. ეს რაღა არღვევს ამ მყუდროებას, ამ ჰარმონიას, წარმტაცს, მშვენიერს? ცოდვაა.. ცოდვა; შეიგენ, ნუ შეურაცყოფ ამ ადგილს წმიდას, აქ არ იციან რაა ნაღველი.

მაგრამ რად არის ეს ხმა ასე გულში ჩამწდომი.

ან რისთვის ავსებს კაეშნითა გულს?

—ეს ქვითინია ადამიანის, იგი საბრალო კვლავ მოსთქვამს, ჰგოდებას; ნუ თუ ჰგონიათ, რომ ქვეყნად ყველა ბედნიერია? მაშ გეტყვით: სცდებით.

არის კაცი, ვინც თვის ლუკმას ცრემლებით ალბობს... ხმა, ხომ მოგესმათ იქ სადღაცა ზარი ჩამოჰკრეს.. იქ ეძახიან მონათ... მონათ საბრალოთ.

განთიადისას, როს ყველა ქმნილება ზეცას უგალობს, ის მის მაგიერ ცას წყევლით ამკობს.

ხომ მოისმინეთ, როგორ დაჰკვნესდა სუმბულს ბულბული, ან და გედი გედს, როგორ ეტრფოდა, ვით ჰკოცნიდა ფოთოლს ნიავი და გედზედ შვლნი, ვით თამაშობდენ.

ადამიანსაც ჰყავდა სატრფო, მაგრამ სიკვდილისა იგი შეშურდა და მიაბარა შავბნელ სამარეს და საფლავი, ხომ ის არის, სად ბევრი მიდის, მაგრამ იქიდან ბევრიც ინდომოს, ვერავინ ადგეს.

„საბრალო არის ადამიანი“—გაიხითხითა ცაში დემონმა.

ეხმაურება მას ბელზებელი, მასვე გაჰკივის ტყე, მთა და ველი. „ვაი საბრალოს“ ჰკივის ნაკადი, იმან არ იცის, რა არის შვება. „ვაი საბრალო“? სევდა ნაღველი აღარ სცილდება, თავზედ ევლება.

„საბრალო არის ადამიანი“ დაცინვისა და ბოროტ გენიის შეუწყვეტელი ისმის ხარხარი და ხევ-ხუვთა გამოძახილი იმავ სიტყვებს გრგვინავს საზარი.

**ტ. ტაბიძე.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. ოფშკვითი** (იმერეთი). შარშანდელი წლის სიმინდის მოუსავლობით შეწუხებულმა და შიმშილის მომლოდინე ხალხმა ჩვენსა და ახლომახლო სოფლებში წელს განსაკუთრებით პური დასთესეს იმ იმედით, რომ რაკი სიმინდი აკლდათ ბევრი, პური მაინც მოგვესწრობაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. გაზაფხულზე პურის ყანებს კარგი პირი უჩნდა და სასიამოვნო სანახავი იყო მობიბინე ჯეჯილი. ყველა დიდის იმედით და სიხარულით შეჰყურებდა კარგ მოსავალს, მაგრამ აპრილის გასულს, როცა პური თავ-თავს იკეთებდა, გვალვა დაუდგა, წვეული ზენა-ქარიც ზედ დაერთო და მარცვლის გაკეთება ძალიან შეაფერხა. იმის მეათედიც აღარ მოვა, რის მოლოდინიც ჰქონდათ. ბევრი ყანა ისეა დაზიანებული, რომ მომკის ფასადაც აღარა ღირს. ზოგი მომკის მაგივრად ცეცხლს უკიდებს და მინდორშივე სწვავს.

სიმინდს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს, მაგრამ ვინ იცის, რომ იმასაც არ გააფუჭებს გვალვა და გაგე-იმერეთის დამღუპველი ზენა-ქარი? კიდეც რომ არ გაფუჭდეს და კარგი მოსავალიც იყოს სიმინდისა, რას უშველის მთელი, წლის სარჩოთ? რადგან მეტი წილი მიწა პურისთვის იყო დაბანდებული მოსახლეს თითო ორ-ორა ქცევა სიმინდი ძლივს ექნება. ხალხი დიდ სავნებელშია ჩავარდნილი, შარშანდელზე უარესი დღე წელს მოელით.

**ვ. პელაგიაშვილი.**

—

**ქ. გორი.** ძალიან დაგვიობდა ჩვენი სამკითხველო. მთელი დღე ისე გავა, რომ შიგ ორ კაცს ვერ ნახავთ შესულს ან რამ შეგლენ, როცა ჩვენი ვაჟ-ბატონებს ბილიარდისა და ქაღალდის თამაში უფრო აინტერესებთ ეს არის აქაური ახალგაზრდების მიზანი. აქამდის თუ ვინმე დადიოდა სამკითხველოში, ისევ მოსწავლენი უფრო სამოსწავლო სემინარიიდან. ეხლა ისინიც დაიკლდა ჩვენს სამკითხველოს, რადგანაც დათხოვნილნი არიან.. ბატ. ა. კალანდაძე და ვ. მგალობლიშვილი იძულებული ხდებიან დახურონ სამკითხველოს კარები. გორში ძალიან ხშირად იმართება წარმოდგენები. 31 მაისს ტფილისის. ქართულ დრამატიულ არტისტების, გ. გუნია, კ. მესხი. ეფ. მესხი და სხვების მიერ დადგმულ იქმნა სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“. წარმოდგენამ ძალიან კარგათ ჩაიარა და ხალხიც ბევრი დაესწრო.

სამოსწავლო წელი გათავდა. ქალების გიმნაზიის 15 მოსწავლიდან სწავლა დაასრულა მხოლოდ 6. სამოქალაქო სასწავლებელში ეგზამენიები დასრულდა 5 ივნისს. სწავლა დაამთავრეს და მიიღეს ატესტატები 22 კაცმა. ამათში 4 რუსია, 3 სომეხი, დანარჩენი ქართველი.

**დ. იმერელი.**

—

**ს. სარაბუკი** (გორის მაზრა). სარაბუკი ცხინვალიდან 9-10 ვერსის მანძილითაა დაშორებული. დასახლებულია იგი სულ ოსებით. საკუთარი მამული აქ ცოტასა აქვს, ამიტომ მომეტებული ნაწილი ფავლენიშვილების და სულხანიშვილის მამულზე სცხოვრობს. ქერის და სიმინდის მეტი აქ არაფერი ხეირობს, მაგრამ ამათი მოსავალიც უფრო და უფრო უკან მიდის, რადგან მიწა ნაკლები აქვთ, ერთსა და იგივეს ამუშავებენ, რის გამოც მიწა იფიტება, სინოყივრე ეცლება. გლეხებიც სცდილობენ ცხოვრების სხვა წყარო გამონახონ. აკეთებენ ხისაგან სათაკარო ჭურჭელს, კიდობნებს, თაბხებს, კევრებს, კრავენ ცოცხებს და ცხინვალში ჩააქვთ გასაყიდათ, ან და სხვა სოფლებში მიაქვთ ჭირნახულზე გადასაცვლელად. თხა-ცხვრის და ღორის მოშენებასაც მისდევენ, რაც კარგ შემოსავალს იძლევა. საცხოვრებლად გავრცელებულია ხის შენობები, ეგრედ წოდებული „ჭდეული“ პატივით გალესილი, მაგრამ ამ ბოლო დროს მათაც ქვითკირის შენობებს მიჰყვეს ხელი. რაღა თქმა უნდა, რომ უოველივე გონების სადაროს, რამე კულტურულ დაწესებულებას ეს სოფელი მოკლებული იქმნება. ამიტომაც არის, რომ მცხოვრებთა შორის ასე მაგრა აქვს მოკიდებული ფეხი ბეზღიაობას, ერთმანეთის გაუტანლობას, ათასნაირ ცრუმორწმუნეობას, სისხლის აღებას, ქურდობას. ეს უკანასკნელი პირდაპირ სენათ არის გადაქცეული. აქაურმა მცხოვრებმა თუ მოათავხელა თვის საკუთარ მამასაც არ დაინდობს და რასაც მოასწრებს ყველაფერს მოპარავს. ნამეტნავად არის გავრცელებული შინაური პირუტყვის ქურდობა. მართალია, სკოლა ნახევარ ვერსის მანძილზე ს. ვანათში არსებობს, მაგრამ რა გამოვიდა, თუ არ შეაგნებინე სკოლის მნიშვნელობა, თუ ნათლად არ დაანახვე მისი სარგებლობა გლეხს და მეტადრე ისე გონებით დაბნელებულს, როგორც აქაურია, იგი მას არაფერს დაგიდევს, დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, დღევანდელი მანეთი, რომელსაც იგი სკოლის შესანახად მისცემს, ურჩევნია ხვალინდელ „ნასწავლ“ შვილს. ამისთვის საჭიროა მასწავლებლის თავგამოდებული შრომა, ენერგიული ცდა, მაგრამ გაი რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი მასწავლებლებისა მხარ თეძოზე წამოწოლილა და უზრუნველად ბოლოსა სცემს! პურის მაგიერ უმთავრეს საზრდოს „ქარჯინა“ შეადგენს. მოზელავენ სიმინდის ცომს, შერმე ეს 4-5 გირვანქას დაამრგვალებენ და ნაცვერდალში წაფლავენ. ეჭვი არაა, გამოუშუშებელი „ქარჯინა“ აწყენს გლეხს, მაგრამ კიდეც რომ აწყენდეს, მაშ რა ქნას, მეტი არა აქვს. რა უშავს, თუ კი გაზაფხულამდის გაჰყვება მაინც, მაგრამ გაი რომ ზოგს შემოდგომაზედვე აკლდება საზრდო და იძულებული ხდება ნახევრად მშიერმა გაატაროს ზამთარი. მიუხედავად ყველა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარშიც კი შიშველ ტიტველნი არიან, სასმელი დროზე არა აქვთ და საჭმელი, ავადმყოფობა იშვიათია. სადი, გამაცოცხლებელი მთის ჰაერი და ყინულივით ცივი წყაროები უნაზღაურებენ დანაკლისს. ხშირად შეხვდებით აქ ას წელს გადაცილებულს მოხუცს, რომელიც ახალგაზრდასავით ხალისიანია. თუ რომ ოდესმე კოოპერაციამ, საკრედიტო დაწესებულებებმა და სხვ. აქეთ ფეხი მოიკიდა, უეჭველია ამნაირი დაწესებულებანი აქაც, ან ვანათში უნდა გაიხსნას, რადგან სოფლები: გოხათი, დმენისი, სათიხარი და მრავალი სხვა თითქმის ზედ აკრავთ. იგინი ძლიერ შეუწყობენ ხელს უკეთო შრომისაგან ქანც მიწყვეტილ გლეხის ჩარჩების კლანჭიდან თავის დაღწევას, ეკონომიურად ცოტათი მაინც წელში გამართვას და გონებრივადაც ერთი ნაბიჯის წინ წადგმას.

**ვინმე სანგანიძე.**

# უცხოეთი

## სუფრაჟისტკების დემონსტრაცია ინგლისში.

სუფრაჟისტკებმა კვლავ ცხარე აგიტაციას მიჰყვეს ხელი. ამ დღეებში ინგლისის პალატაში შეიტანეს ახალი კანონ-პროექტი ქალთა საარჩევნო უფლებაზე. სუფრაჟისტკებმაც ქალების უფლებათათვის თავგამოდებულმა მებრძოლებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა

ათი ათასზე მეტი ქალი, ინგლისის სხვა და სხვა ქალაქიდან ჩამოსული. პროცესია მიდიოდა ლონდონის ერთ დიდ ქუჩაზე. თავში ცხენით მიდიოდა ქ-ნი დრიუმონი, სუფრაჟისტკების ეგრედ წოდებული მთავარ-სარდალი. მას მისდევდა 617 ქალი, უფლებების მოპოვებისათვის სატუსაღოებში დაპატიმრებულნი. ამ ქალებს დაკერებული ჰქონდათ ნიშნები, რომლებიც იმის მაჩვენებელნი იყვნენ, რომ ქალთა თანასწორუფლებიანობის დამყარებისათვის მთავრობამ იგინი დასაჯა. მშვენიერი ამინდი იყო და ამან ხელი შეუწყო ხალხს დემონსტრაციაში მონაწილეობა მიეღო. ქუჩებში ხალხი დიდის თანაგრძნობით უხვდებოდა სუფრაჟისტკებს. გაიმართა მიტინგი, ქალებმა დაადგინეს, მოსთხოვონ მთავრობას, რომ კანონ-პროექტი ქალთა საარჩევნო უფლებაზე მალე კანონად აქციოს და ცხოვრებაში გაატაროს, პირველი მინისტრი თანახმაა, მიიღოს ქალთა დეპუტაცია რომელსაც სურს პირადად მოელაპარაკოს მიტინგზე დადგენილ მოთხოვნილებაზე.

**მუშათა დემონსტრაცია ინგლისში.**

ივნისის პირველ რიცხვებში მთავრობის სახელოსნოების მუშებმა დემონსტრაცია გამართეს. მუშები ამზადებენ ჯარის სამკაულს, და სხვა მუშებთან შედარებით მათი მდგომარეობა მეტად ცუდი იყო. დიდი ხანია თხოულობდნენ პირობების გაუმჯობესობას. და აი ამ მიზნით მოიწადინეს დემონსტრაციის გამართვა. 71 მუშათა ორგანიზაციამ დაადგინა მინიმალურ შრომის ფასის დაწესება. დაარსეს კომიტეტი, რომელსაც უნდა ეზრუნა დემონსტრაციის მოწყობაზე. პირველ ყოვლისა კომიტეტმა შეატყობინა მთავრობას თავისი განზრახვაზე, ამას მოითხოვდა ჩვეულება და პატივისცემა საზოგადოებრივ მყუდროებისა. შემდეგ შეიმუშავეს პროგრამა, რომელ ქუჩაში უნდა შეგროვილიყვნენ, რომელი ქუჩით უნდა გაევლოთ და სხვ. შეიმუშავეს რეზოლიუციები, რომლებიც უნდა წარედგინათ მუშებისათვის მიტინგზე.

ნაშუადღევის 3½ საათზე ათიათასამდე მუშა, მთავრობის სახელოსნოებში მომუშავე, შეიკრიბა მდ. ტემზის სანაპირო ქუჩაზე. 20-მდე ორკესტრი უკრავდა, თითოეულ მუშათა ორგანიზაციას თავისი ადგილი ეჭირა. დიდ-ძალი დროშები აემართად მუშებს. ერთ დროშაზე ეხატა ჰახრაკი, რომლის საშუალებით მექარხნე ფულებს იღებს გაქანჩულ მუშისაგან. მეორე დროშაზე კიდევ ეხატა მათრახი ზეწარწერით: „აღარ გვინდა მოვითმინოთ და სხვა.

ყველა მუშას, პარტიულ შემადგენლობის მიხედვით, თავისი ნიშანი ჰქონდა, სოციალისტებს წითელი ნიშანი, კონსერვატორებს თეთრი და სხვა. ყველანი ერთსულოვნობით იყვნენ გამსჭვალულნი: საქმე შეეხებოდა ხელფასის მომატებას. მდ. ტემზის სანაპიროდან მუშები მწყობრად გაემართენ გაიდ-პარკისაკენ, სადაც ყოველთვის მიტინგები იმართება ხოლმე. ხუთ-ხუთი კაცი რიგზე მიდიოდა, მწყობრად ორკესტრები ყოველ ათს კაცს შუა იდგა და უკრავდა მარშებს ხალხის ყურადღების მისაპყრობად.

პოლიციაც აცილებდა დემონსტრაციას, პასუხის მგებლობა და წესის დაცვა თვით მუშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებზე იყო დაკისრებული. მიტინგი გაიმართა დიდ ხეებ ქვეშ. ილაპარაკა რამდენიმე ცნობილმა ორატორმა. რეზოლუციები ერთხმად მიიღეს. წინდა-წინვე იცოდენ რეზოლუციის შინაარსი. მუშებმა მოითხოვეს სამუშაო ხელფასის მომატება არა მარტო მამაკაცთათვის, არამედ დედაკაცთათვისაც. კიდევ ამ ხასიათის სხვა რეზოლუციებიც იქმნა მიღებული. ამოირჩიეს დეპუტაცია, რომელიც წარუდგება სამხედრო სამინისტროს მდივანს და მოახსენებს რეზოლიუციების შინაარსს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** 8 ივნისს გრიგოლ რობაქიძის მიერ გამართულმა ლიტერატურულმა საღამომ ქალაქის თეატრში დიდ-ძალ საზოგადოებას მოუყარა თავი.

საღამო სამ განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველ განყოფილებაში კიტა აბაშიძემ წაიკითხა ლექცია ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი, როგორც სიმბოლო“; მეორე განყოფილება შეიცავდა გრიგოლ რობაქიძის ლექციას ამ სათაურით: რუსთაველის შემოქმედება“, მესამე განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს დავით მესხმა, დავით კლდიაშვილმა, ცახელმა და გრიგოლ რობაქიძემ. ამათგან პირველმა წაიკითხა თავისი ესკიზი, კუდიანი ვარსკვლავი და ერთიც ლექსი; მეორემ—თავისი მოხდენილად დაწერილი საამდრო ესკიზი როსტომის ოჯახობა„; მესამე—ერთი თავისი ლექსი და ბოლოს გრიგოლ რობაქიძემ დაამთავრა საღამო ვაჟა-ფშაველას ლექსების კითხვით. საღამომ საზოგადოთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით მოეწონა საზოგადოებას ბ-ნის რობაქიძის ლექცია, სადაც ამ ენაწყლიანმა ორატორმა ჩვეულებრივის ხელოვნებით დაგვისურათა შოთა რუსთაველის შემოქმედება და დაგვანახვა ელლინური სული მის უკვდავს პოეზიაში. საზოგადოებამ ხანგრძლივ ტაშითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვა ლექტორი. ძლიერ სასურველი და სასარგებლოა ასეთი ლიტერატურული საღამოების მართვა. იქმნება, ამგვარად მაინც გავიცნოთ და შევიყვაროთ ჩვენი ბეჩავი ლიტერატურა, რომელსაც, ჩვენდა სამარცხვინოთ, ძლიერ ნაკლებად ვიცნობთ. **ისარა.**

—

**დ. ცხინვალი.** 9 ივნისს აქ გაიმართა წარმოდგენა. წარმოადგინეს ლაზარაშვილის პიესა „მტარვალი“. ყველამ იცის, რომ ამგვარ ისტორიულ პიესების დადგმა დიდ სცენასაც უჭირს ხოლმე, მით უმეტეს საძნელო უნდა ყოფილიყო აქ, დაბა ცხინვალში. მაგრამ აქაურმა სცენის მოყვარეებმა მოლოდინს გადააჭარბეს, პიესამ რიგიანად ჩაიარა, რასაც უმთავრესად უნდა ვუმადლოდეთ ორ სასცენო მოღვაწეს. ბ.ბ. ჯავახიშვილს და ვ. იარალოვს (მორიგი რეჟისორები). თითოეულ სცენის მოყვარეთა თამაშის ღირსება-ნაკლულევანებაზე არ ვილაპარაკებ. საერთოდ შევნიშნავ, რომ ზოგს მიმიკა არ უვარგოდა, ზოგს დიქცია, ზოგი კი ცივად თამაშობდა. საერთოდ, ვიმეორებ, პიესამ რიგიანად ჩაიარა.

ამასთანავე უნდა შევნიშნო თეატრის მოთავეებს, რომ უმჯობესია დროის შესაფერი პიესები დაიდგას ხოლმე. აქ თითქმის სისტემატიურად ისტორიული პიესები იდგმის, თანამედროვე პიესებს კი პატარა ადგილი უჭირავთ. გარდა ამისა, ისტორიული პიესის დადგმა ერთობ დიდ ხარჯსა თხოულობს, განსაკუთრებით დაბაში. ამის მიხედვით წარმოდგენა ხშირად ზარალს იძლევა. ეს ხელს უშლის საქველმოქმედო საქმეს. ისტორიული პიესები რომ ხანდისხან დაიდგას, წინააღმდეგი არავინ იქნება, პირიქით ეს სასარგებლოც არის.

იმედია ყველა ამას გაითვალისწინებენ აქაურ თეატრის მოთავენი და უფრო შესაფერისად მოიქცევიან.

ამასთანავე არ შემიძლიან არ ვისურვო, რომ საზოგადო კულტურულ საქმეში მოისპოთ ყოველ-გვარი შური, ქიშპობა, ინტრიგანობა. **დონ-დიელი.**

—

**დ. ხონი.** წარსულ ხანებში აქ გამართეს წარმოდგენა ხონის მარიამის სასწავლებლის და სახელოსნო სკოლის მოწაფეებმა. წარმოადგინეს ქართულად „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“ და „დატრიალდა ჯარა“ და რუსულად: გოგოლის „ქორწინება“. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა „მშვენიერ ელენეს მაძიებელნის“ წარმოდგენის დროს თითქმის ყველა სუსტობდა. სამაგიეროდ კარგათ შეასრულეს ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. მოთამაშეებში თავისი მოხდენილი თამაშით ირჩეოდა ქ-ნი მ. ინწკირველი. რუსული წარმოდგენა კი ვისთვის დასდგეს ეს ჩემთვის გამოურკვეველია ამავე საღამოს იყო სიმღერა. იმღერეს სხვა და სხვა ქართული და რუსული სიმღერები ბ-ნ ალ. ბახტაძეს ლოტბარობით.

წელიწად-ნახევარია მას შემდეგ, რაც ადგილობრივი სამკითხველო თავის მფარველობის ქვეშ მიიღო აქ არსებულმა წ. კ. საზოგადოების განყოფილებამ. ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოს მდგომარეობა თან და თან უარესდება. წინათ სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებსაც ვხედავდით სამკითაველოს მაგიდაზედ, დღეს კი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვერც ერთი სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთი გამოუწერიათ. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას სამკითხველოსას ყურადღება მიაქციეს და კვირას, 23 მაისს, გამართეს საბავშო საღამო მის სასარგებლოდ. გამგენი საღამოისა იყვნენ ეკატერინე ვასილის ასული ბახტაძისა და გიორგი იესეს ძე ბურჭულაძე. ბავშვებმა ჯერ ივ. შარვაშიძეს ეზოში ითამაშეს სხვა და სხვა სათამაშოები და შემდეგ საღამოს 6 საათზე რიგზე დამწკრივებული ბავშვები წაიყვანეს თეატრში. აქ ბავშვებმა წაიკითხეს სხვა და სხვა ლექსები, დაუკრეს გიტარა და წარმოადგინეს ეგრეთვე ორი საბავშო პიესა. დაიდგა ცოცხალი სურათებიც. საღამო მეტად საუცხოვოდ ჩატარდა, რისთვისაც უნდა უმადლოდეთ საღამოს გამგეთ. დამსწრე ბავშვები ძრიელ კმაყოფილნი დარჩნენ თავისი ამხანაგების თამაშით სცენაზედ. ასეთ საღამოს დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში და სასურველია, რაც შეიძლება ხშირად იმართებოდეს. წელს თეატრის საქმეები კარგათ წავა ხონში. წ. კ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ მოიწვია უკვე ქ-ნი ნ. ჯავახიშვილი, ბ. ვ. შალიკაშვილი და ნ. გვარაძე წარმოდგენების დასადგმელად. ნ. გვარაძე უკვე ჩამოვიდა. ელიიან შალიკაშვილს და ჯავახიშვილსაც ამ დღეებში. სეზონის გახსნას აპირებიან 13 ამა თვეს. ეჭვი არაა მოწვეულნი მსახიობნი წელს წარმოდგენების საქმეს კარგათ წაიყვანებენ. ურიგო არ იქმნება აქვე ვსთქვა ორიოდე სიტყვა ხონის თეატრზე. ხონის თეატრი წელს თავის მფარველობის ქვეშ მიიღო წ. კ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ. მანვე მოიწვია კრება 7 ივნის ტეატრის საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ამ კრებაზედ არჩეულ იქმნა გამგეობა 13 კაცისაგან. გამგეობამ უნდა აწარმოვოს წელს თეატრის საქმეები; რიგრიგობით მორიგი გამგეობა უნდა გასწიონ და სხვა. რადგანაც ვაჭრები და ნოქრები კრებას არ დასწრებიან, ამისათვის ვაჭრებს და ნოქრებს წინადადება მისცეს; რომ აირჩიონ თავიანთ შორის თითო კაცი გამგეობაში შესასვლელად. ნაკლებათ დაესწრო ეგრეთვე სცენის მოყვარულები და იმათაც ასეთი წინადადება მისცეს.

28 მაის მოულოდნელათ ჩამოვიდა ტფ. დრამ. დასი და დასდგეს წარმოდგენა მსახიობებმა. ისინი ჩამოვიდნენ ნაშუადღევს 4 საათზე 28 მაის და იმავე საღამოს გამართეს წარმოდგენა. არავითარი წინასწარი ცნობა არ იყო მათი მოსვლის შესახებ, რათა ხალხისთვის შეეტყობინებინა აფიშების საშუალებით. ასეთი მათი მოულოდნელი ჩამოსვლა ბევრმა ვერ გაიგო და ძალა-უნებურად ვერ დაესწრო იმ საინტერესო წარმოდგენას, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ სხვათა შორის ქ-ნი ეფემია მესხი, ბ.ბ. ვ. გუნია და კოტე მესხი. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც ბლომად დაესწრო. წარმოადგინეს ალ. სუმბათაშვილის პიესა: „ღალატი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. კარგი ოთარბეგი იყო ვალერიან გუნია. კარგად შეასრულა ეგრეთვე ერეკლეს როლი ბ-ნმა ნ. გვარაძემ. ზეინაბის როლში ეფემია მესხი ცოტა არ იყვეს სუსტობდა. ეს პიესა წინათაც დადგმულა ხონში და ზეინაბის როლი ქ-ნ დავითაშვილს წინად უკეთ შეუსრულებია, ვიდრე ეხლა. ძლიერ მოეწონა საზოგადოებას ქ-ნი მდივანი გააძეს როლში.

— 29 ივნისს წ. კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ გაიმართება სახალხო სეირნობა ლატარეია ალეგრით. ასეთი სეირნობა შარშან 29 ივნის გაიმართა და შემდეგშიაც გადაწყვეტილი აქვს წ. კ. საზოგადოების ად. განყოფილებას, რომ გამართოს ყოველთვის 29 ივნისს. 20 ამა თვეს ადგილობრივი ვაჟთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ გაიმართება სახალხო სეირნობა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სეირნობას ხალხი ბლომად დაესწრება, და მით პროგიმნაზიის გაჭირვებულ მდგომარეობას ცოტათი მაინც წინ წასწევს. **ვ. ფახკუნჯი.**

—

**წარმოდგენები.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის დრამატიული კურსების თავისუფალი მსმენელი ა. კოლხიდელი მიემგზავრება დასავლეთ საქართველოში და წარმოადგენს გამართავს ქიათურასა, სამტრედიას და ახალსენაკში. წარმოდგენილ იქნება კ. ფოცხვერაშვილის სცენები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან „აშენდა საქართველო“.

# რუსეთი

**მაჰმადიან ია სკოლების მეთვალყურეობა.** დიდ ფაციფუცშია თურქესტანის მხარის გუბერნატორის კანცელარიის მართველი მუსტაფინი. იგი თავისებურს რეფორმებს ახდენს ყველგან. მან აღძრა კითხვა მრავალ ქალაქში გაეხსნათ დამცველ პოლიციის განყოფილებანი და საერთოდ ამ პოლიციის სამოღვაწეო ასპარეზი გაეფართოვებინათ და სხვა. მისი სურვილი დამტკიცებულ იქმნა ეხლა მუსტაფინმა სკოლის რეფორმას მიყო ხელი. მიმდინარე წლის თებერვალში მან ერთ კრებაზე, რომელზედაც მას თავჯდომარის ალაგი ეჭირა, აღძრა საოლქო ინსპექტორების ინსტიტუტის დაარსების საკითხი. მისი (სპეციალური დანიშნულება იქნება არა რუსთა თვალ ყური დეჭნა. მაგრამ მან თანამგრძნობანი ცოტა შეიპოვა. ეხლა მან კვლავ წამოყო თავი და მოითხოვოს მაჰმადიანთა სკოლების თვალყურის დევნებს, რადგანაც არა ახლო მომავალში ამ სკოლებში რუსებისა და რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგი მოძღვრება მოიკიდებს ფეხსო. თავის აზრის დასამტკიცებლად იგი ამბობს, სტამბოლში არსებობს სპეციალური საზოგადოება. რომლსაც მიზნათ აქვს ოსმალური ელემენტები ჩამოაშოროს რუსეთსა იგივე საზოგადოება სცდილობს ჩვენს მხარეში დააარსონ ფარული სკოლები „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის იდეების გასავრცელებლადო. ჯერ ჯერობით მისდა ნამწუხაროთ ვერც ამ აზრის მიმდევარნი იშოვა ბლომად. საიდან დაამტკიცა მუსტაფინმა, რომ ამ სკოლებში სახელმწიფოს წინააღმდეგი მოძღვრება მოიკიდებს ფეხს, არავინ იცის მხოლოდ ეს კია, რომ „მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა.

**საფაბრიკო კოოპერატივები.** მოსკოვის გუბერნიაში მომხმარებელთა ახლ საზოგადოებათა გვერდით განაგრძობენ თავის სასარგებლო მოქმედებას „ძველი ტიპის“ კოოპერატივები. ყველაზე დიდი მომხმარებულთა საზოგადოება კოლომენის ქარხანასთან არსებობს. ამ საზოგადოებს ყავს 2,848 წევრი; 1909 წელს გაუყიდნია 984, 000 მანეთის საქონელი, წმინდა მოგება დარჩენია 62, 867 მანეთი. კონშინის ფაბრიკასთან არსებულ საზოგადოების (349 წევრი ყავს) გაუყიდნია 204,000 მანეთის საქონელი და დარჩენია 8, 547 მან. მოგება; მოგებითვე დაუმთავრებია 1909 წელი ვისოკოვისკის მანუფაქტურასთან (33-3 მან.), პოპოვი ფაბრიკასთან (1516 მან.) ზაციდოვის მანუფაქტურასთან ზინგერის ქარხანასთან, პოკროვსკის მანუფაქტურასთან, შჩელკოვის ფაბრიკასთან არსებული მომხმარებელთა საზოგადოებებს და სხვ.

**დასავლეთ გუბერნიების ერობა.** 4 ივნისს საღამოთი მოხდა უკანასკნელი სხდომა სახელმწიფო საბჭოს კომისიისა, რომელსაც დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ კანონპროექტი ჰქონდა ჩაბარებული განსახილველად. კომისიამ კანონპროექტი მიიღო დიდი ცვლილებით.

1) საერობო ცენზის, 2) ერობაში სასულიერო პირთა მონაწილეობის, 3) საერობო გამგეობათა თავმჯდომარეების ამა თუ იმ ეროვნების კუთვნილების და 4) საარჩევნო კრებების რაოდენობის საკითხში; ამასთან პირველი ორი საკითხი მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის სურვილისამებრ. შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ საერობო გამგეობის თავმჯდომარედ უეჭველად რუსი უნდა იყვეს და ორი საარჩევნო კრების მაგივრად დააწესა ერთი 1890 წლის კანონის მიხედვით. რადგან კანონპროექტში შესწორებებია შეტანილი, კომისიას აზრადა აქვს განსახილველად იგი განსაკუთრებულ შემთანხმებელ კომისიას გადასცეს.

**ეგზამენის მსხვერპლი.** ვილნაში თავი ჩამოიხრჩო მდიდარ მემამულის კინკულევის ქალმა გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფემ. მიზეზი იმავე კლასში დატოვებაა.

**შავ-რაზმელები ებრაელებს აწიოკებას ემუქრებიან.** როგორაც ვიცით, ამას წინად ოპოზიციის წარმომადგენლებმა და ოქტომბრისტებმა სათათბიროში შეიტანეს კანონპროექტი, რომლითაც ებრაელებს უნდა მიეცეთ ყველგან თავისუფლად ცხოვრების ნება. ამის გამო „რუსკ. ზნამია“-ში მოთავსებულია წერილები, რომლებშიაც წინადადებას იძლევიან უკან წაიღონ კანონპროექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში 1905 წელზე უარესი უბედურობა და სისხლის ღვრა დაატყდებათ ებრაელებს თავზეო.

**რამდენმა მოიკლა თავი მაისს განმავლობაში რუსეთში.** როგორც მკითხველს გაზეთებიდანაც ეცოდინება, რუსეთში თვით-მკვლელობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო. რაც დრო მიდის უფრო და უფრო იზრდება თვითმკვლელთა რიცხვი. „რუსკ. სლოვოს“ მოჰყავს მაისში მომხდარ თვითმკვლელობათა საინტერესო სტატისტიკა. ამ სტატისტიკით მაისში თავი მოუკლავს: ვარშავაში 12 კაცს და 9 ქალს, ვილნაში 4 კაცს და 2 ქალს, ვიტებსკში 1 კაცს და 1 ქალს, ვიატკაში 3 კაცს და 2 ქალს, ეკატერინოდარში 3 კაცს, ყაზანში 13 კაცს და 12 ქალს, კალუგაში 3 კაცს და 1 ქალს, ქერჩში 1 კაცს და 1 ქალს, კიევში 5 კაცს და 9 ქალს, კოვნოში 7 კაცს, კრასნოიარსკში 5 კაცს და 2 ქალს, მინსკში 8 კაცს და 3 ქალს, გუბერნიის მოგილევში 3 კაცს, პენზაში 4 კაცს და 11 ქალს, პოლტავაში 5 კაცს და 1 ქალს, პსკოვში 5 კაცს, რიგაში 8 კაცს და 2 ქალს, დონის როსტოვში 4 კაცს და 12 ქალს, რიბინსკში 1 კაცს, რიაზანში 1 კაცს, მის გუბერნიაში 3 კაცს, სარატოვში 2 კაცს და 1 ქალს, სევასტოპოლში 1 კაცს და 1 ქალს, სიმფეროპოლში 7 კაცს და 4 ქალს, სმოლენსკის მაზრაში 1 კაცს და 1 ქალს, სიზრანში 1 კაცს, ტაშკენტში 1 ქალს, ტომსკში 6 კაცს და 1 ქალს, თეოდოსიაში 3 კაცს და 2 ქალს, ხერსონში 1 კაცს და 2 ქალს, ჩერნიგოვში 8 კაცს, იაროსლავში და მის მაზრაში 7 კაცს და 11 ქალს, პეტერბურგში 20 კაცს და 8 ქალს, მოსკოვში 18 კაცს. თავის მოკვლა განუზრახავს: ვარშავაში 7 კაცს და 16 ქალს, ვილნაში 8 კაცსა და 8 ქალს, ვიტებსკში 1 კაცს და 2 ქალს, ეკატერინოდარში 2 კაცს, ყაზანში 5 კაცს და 10 ქალს, კალუგაში 2 ქალს, ქერჩში 2 ქალს, კიევში 2 კაცს და 16 ქალს, კრასნოიარსკში 3 კაცს და 7 ქალს, მინსკში 4 კაცს და 3 ქალს, გუბერნიის მოგილევში 1 კაცს და 1 ქალს, პენზაში 12 კაცს და 14 ქალს, პოლტავაში 1 კაცს, პსკოვში 1 კაცს და 3 ქალს, რიგაში 4 კაცს და 5 ქალს, დონის როსტოვში 7 კაცს და 4 ქალს, რიბინსკში 1 კაცს და 1 ქალს, რიაზანში 1 ქალს, სარატოვში 7 კაცს და 5 ქალს, სევასტოპოლში 3 კაცს და 2 ქალს, სიმფეროპოლში 4 კაცს, სმოლენსკში 2 კაცს და 2 ქალს, ტაშკენტში 1 კაცს და ქალს. ტომსკში 3 კაცს და 2 ქალს, ხერსონში 2 კაცს და 1 ქალს, იაროსლავში 9 კაცს და 5 ქალს, პეტერბურგში 79 კაცს და 61 ქალს, მოსკოვში 37 კაცს და 14 ქალს. მაისის განმავლობაში სულ თავი მოუკლავს 174 კაცს და 113 ქალს, თავის მოკვლა განუზრახავს 206 კაცს და 192 ქალს. სულ თავი მოუკლავს 287 ქალსა და კაცს, თავის მოკვლა განუზრახავს 398 ქალსა კაცს. ეს ციფრები ნათლად მოწმობენ, როგორ ედება რუსეთს თვითმკვლელობის სენი.

# წერილი რედ. მიმართ

ჩვენ ქვემორე ამაზე ხელის მომწერნი: მღ. ი. გორგაძე, გ. ვაშაკიძე, ვ. ყიფიანი, ნ. ჯომარდიძე დავესწარით რა ბორჯომის განყოფილების გამგეობის კრებას, რომელიც მოიწვია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ დოების მთავარ გამგეობის წევრმა პეტრე სურგულაძემ, გადავწყვიტეთ საზოგადო ინტერესებისათვის ამ დღიდგან მოვსპოთ ყოველივე პოლემიკა ჩვენს შორის, როგორც გაზეთებში ისე კერძო ლაპარაკში, ამითვე ისპობა სამედიატორო სასამართლოს საჭიროებაც მღ. გორგაძის, ნ. ჯომარდიძის და გ. ვაშაკიძის შორის.

**მღ. ი. გორგაძე. ნ. ჯომარდიძე, გიორგი ვაშაკიძე, ვლ. ყიფიანი.**

1910 წ. 6 ივნისი. დ. ბორჯომი


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—119)

ქართული სამკურნალო ტერმინები

წინასიტყვაობით

ისყიდება: —„წერა-კითხვ ს საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და იოს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფასი 20 კაპ.

(5—317—1)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ . საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა ნავასარდიანი.**

**მატარებლების მიმოსვლა**

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისკენ:** N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
**ბაქოსკენ:** N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
**ბორჯომისკენ:** სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
**ჯულფისკენ:** საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
**ერევნისკენ:** სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
**ბაქოდან:** N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
**ბორჯომიდან:** სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
**ჯულფიდან:** საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
**ერევნიდან:** სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

**გამოვიდა** და იყიდება: ტფილისში

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთათვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია“, ვ. დევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალატა“ ვასო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი“ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი- (15—2)

**ვ. ყიფიანის დრამა**

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

„როზა“

(„ვარდი“)

**ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**

**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—29)